ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ კოლეჯი „ბლექსი“
დირექტორის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-02/1

05 იანვარი, 2023 წელი ქ. ბათუმი

პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ წესდების მე-5 მუხლის „ი“ პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს თანდართული **„პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესი“.**

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) პროფესიული მომზადების პროგრამაზე - ,,ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება, მოდელირება, კერვა“ - მსმენელთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ „ბლექსის დირექტორის 2022 წლის 04 მაისის № 01-02/82 ბრძანება;
ბ) აგრარული მიმართულებით განსახორციელებელ პროფესიული მომზადების პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის № 01-02/163 ბრძანება;
გ) სამშენებლო მიმართულებით განსახორციელებელ პროფესიული მომზადების პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2022 წლის 13 ივნისის №01-02/108 ბრძანება;
დ) ტურიზმის მიმართულებით განსახორციელებელ პროფესიული მომზადების პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ დირექტორის 2022 წლის 04 მაისის №01-02/80 ბრძანება.

3. კოლეჯის საქმისმწარმოებელმა წინამდებარე ბრძანება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გააცნოს დაინტერესებულ პირებს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორი

გიორგი გოგიტიძე

დანართი

დამტკიცებულია:
სსიპ კოლეჯის „ზღვექსის“ დირექტორის
2023 წლის 05 იანვრის №01-02/ 1 ბრძანებით

პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. „პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესი“ (შემდგომში - წესი), კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში, არეგულირებს პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე (შემდეგში „პროგრამაზე“), აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების, აპლიკანტთა შერჩევისა და მსმენელთა ჩარიცხვის პროცედურას, თუ ის განსხვავებულად არ რეგულირდება კოლეჯის დირექტორის სპეციალური ბრძანებით.

2. შესაძლებელია, ცალკეულ პროგრამაზე, აპლიკანტთა რეგისტრაციის, აპლიკანტთა შერჩევისა და მსმენელთა ჩარიცხვის პროცედურა განისაზღვროს კოლეჯის დირექტორის სპეციალური ბრძანებით.

3. პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების, აპლიკანტთა შერჩევისა და მსმენელთა ჩარიცხვის პროცედურები, თუ ის განსხვავებულად არ რეგულირდება კოლეჯის დირექტორის სპეციალური ბრძანებით, რეგულირდება ამ წესითა და „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 2. რეგისტრაციის გამოცხადება

1. კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, უფლებამოსილია, გამოსცეს ბრძანება პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების შესახებ, სადაც მიეთითება პროგრამაზე რეგისტრაციის ვადა და წესი (ღია/დახურული), მისაღები ადგილების რაოდენობა, პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები, სწავლის საფასური და ინფორმაცია სწავლის დაფინანსების წყაროების შესახებ, ასევე - სხვა საჭირო ინფორმაცია.

2. დახურული წესით რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით, დირექტორის მოადგილე სამსახურებრივ ბარათს დაურთავს კოლეჯსა და ადმინისტრაციულ

ორგანოს/იურიდიულ პირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც კოლეჯმა აიღო პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადების/გადამზადების ვალდებულება.

3. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დადგენილი წესით, ავსებს ელექტრონულ განაცხადს აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების თაობაზე, რითაც კოლეჯი, შესაბამის პროგრამაზე, აცხადებს აპლიკანტთა (ღია წესით ან დახურული წესით) რეგისტრაციას.

4. პროგრამაზე რეგისტრაციის ვადა და წესი (ღია/დახურული), მისაღები ადგილების რაოდენობა, პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები, სწავლის საფასური და ინფორმაცია სწავლის დაფინანსების წყაროების შესახებ, ასევე - სხვა საჭირო ინფორმაცია მიეთითება ელექტრონულ განაცხადში.

5. პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, ელექტრონულ განაცხადს თან დაერთვის კოლეჯსა და ადმინისტრაციულ ორგანოს/იურიდიულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც კოლეჯმა აიღო ვალდებულება პირთა განსაზღვრული წრის პროფესიული მომზადების/გადამზადების შესახებ.

მუხლი 3. რეგისტრაცია

1. აპლიკანტთა ღია წესით რეგისტრაციის პირობებში, პირი, კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვადაში, დადგენილი წესით, გადის ელექტრონულ რეგისტრაციას, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. პირის მომართვის საფუძველზე, კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი მას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არეგისტრირებს შესაბამის პროგრამაზე, აპლიკანტად.

2. დახურული წესით რეგისტრაციის პირობებში, კოლეჯსა და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს/იურიდიულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირებს, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შესაბამის პროგრამაზე აპლიკანტად არეგისტრირებს რეესტრის წარმოების სპეციალისტი.

3. აპლიკანტი უფლებამოსილია გაიაროს რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ დაშვების წინაპირობებს.

4. აპლიკანტი, რომელსაც აქვს დადასტურებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ან მიიჩნევს, რომ მისი შეზღუდული შესაძლებლობები მას უქმნის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე, კოლეჯს მიმართავს განცხადებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

პირთათვის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით შეფასების თაობაზე და წარუდგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს (მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნას) ან თავისი შეზღუდული შესაძლებლობების დამადასტურებელ დოკუმენტაციას (სამედიცინო დოკუმენტაცია, სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ.).

მუხლი 4. შერჩევა

1. პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისია აფასებს რეგისტრირებულ აპლიკანტებს.

2. პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღებს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის მიმართვის საფუძველზე, არაუგვიანეს შეფასების თარიღამდე 5 დღისა.

3. შერჩევის პროცედურის შესახებ ინფორმაცია მსმენელს მიეწოდება დადგენილ ვადებში.

4. შეფასების მეთოდია გასაუბრება.

5. აპლიკანტი ფასდება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, №1 დანართის შესაბამისად, 15 ბალიანი ქულათა სისტემით.

6. აპლიკანტი, რომელსაც გამოკვეთილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ფასდება №2 დანართით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, 10 ბალიანი ქულათა სისტემით.

7. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 8 ქულა. აპლიკანტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ვერ მიიღებს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

მუხლი 5. შერჩევის განსაკუთრებული წესები

1. ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, შეისწავლის წარმოდგენილ დოკუმენტაციას (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, გაესაუბროს აპლიკანტს) არაუგვიანეს რეგისტრაციის დასრულებიდან ორი სამუშაო დღისა, კოლეჯის დირექტორსა და საკონკურსო კომისიას წარუდგენს ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ასევე, იმ აპლიკანტთა შესახებ, რომელთა შესაძლებლობების გათვალისწინებითაც მიზანშეწონილია მათი შეფასება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განსაზღვრული წესით.

2. აპლიკანტს, რომელმაც ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განცხადებით მიმართა კოლეჯს, თუმცა, არ დადგინდა მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, აღნიშნულის თაობაზე ეცნობება დაუყონებლივ და ის შერჩევას გაივლის საერთო წესით (დანართი №1-ით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად).

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განსაზღვრული წესით აპლიკანტთა შეფასებისას, აპლიკანტის პროგრამასთან თავსებადობის შემოწმების მიზნით, გასაუბრებამ შესაძლოა, მოიცვას პრაქტიკული აქტივობაც.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის ფორმირებისა და მუშაობის წესი

1. შესაბამის პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია, არანაკლებ 4 წევრის მონაწილეობით. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განსაზღვრული წესით აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში, ხმის უფლებით მონაწილეობს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

3. კოლეჯის დირექტორს საკონკურსო კომისიის წევრთა კანდიდატურებს (მათი პოზიციების მითითებით) წარუდგენს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.
4. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის თანაგანმახორციელებელია პარტნიორი საწარმო, საკონკურსო კომისიაში აუცილებლად მონაწილეობს ამ საწარმოს წარმომადგენელი.

5. საკონკურსო კომისია ორგანიზებას უწევს აპლიკანტთა შერჩევის პროცესს, აფასებს აპლიკანტებს და ახორციელებს მსმენელთა ჩარიცხვასთან დაკავშირებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

6. შეფასების კომისიის მდივანი ამზადებს კომისიის ოქმებს და სხვა დოკუმენტაციას (საჭიროების შემთხვევაში).

7. საკონკურსო კომისიის ყველა წევრი, გარდა კომისიის მდივნისა, აფასებს აპლიკანტს.

8. კომისიის წევრი აპლიკანტს აფასებს ინდივიდუალურად, თანდართული კრიტერიუმების მიხედვით, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

9. ამ წესის №2 დანართით განსაზღვრულ მე-2 კრიტერიუმის მიხედვით კომისია აპლიკანტს აფასებს ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ხმა.

10. აპლიკანტის მიერ დაგროვილი ქულა გამოიანგარიშება საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ გაცემული ქულების ჯამის საკონკურსო კომისიის შემფასებელ წევრთა რაოდენობაზე გაყოფით.

11. შეფასების შედეგები აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის ოქმს თან დაერთვის კომისიის წევრთა მიერ გაცემული ინდივიდუალური შეფასებები.

მუხლი 7. შეფასების პროცესი

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს შეფასების კრიტერიუმებს.

2. აპლიკანტი ვალდებულია, შეფასების პროცესის დაწყებამდე 30 წუთით ადრე გამოცხადდეს შეფასებაზე და გაიაროს რეგისტრაცია.

3. რეგისტრაციისთვის აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. აპლიკანტი, რომელიც დადგენილი წესით არ გაივლის რეგისტრაციას, კარგავს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

მუხლი 8. საკონკურსო სიის შედგენა და პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მოქონე პირის სტატუსის მინიჭება

1. პროგრამაზე შეფასების დასრულების შემდეგ, ორი სამუშაო დღის ვადაში, აპლიკანტთა შეფასების შედეგების მიხედვით, საკონკურსო კომისია ადგენს აპლიკანტთა საკონკურსო სიას/სიებს და დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას იმ აპლიკანტთა შესახებ, რომელთაც უნდა მიენიჭოთ შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსი.

2. პროგრამაზე დგება ორი საკონკურსო სია, აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) იმ აპლიკანტთა საკონკურსო სია, რომლებიც შეფასდნენ დანართი №1 კრიტერიუმების გათვალისწინებით;

ბ) იმ აპლიკანტთა საკონკურსო სია, რომლებიც შეფასდნენ დანართი №2 კრიტერიუმების მიხედვით.

3. თანაბარი ქულის მქონე აპლიკანტები საკონკურსო სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

4. აპლიკანტს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მიენიჭება შესაბამისი პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და საკონკურსო სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

5. მისაღები ადგილების:

ა) 85 პროცენტის ფარგლებში ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსი ენიჭება აპლიკანტებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკონკურსო სიიდან“.

ბ) 15 პროცენტის ფარგლებში ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსი ენიჭება აპლიკანტებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკონკურსო სიიდან“.

6. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სიით, ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლები იქნება ამ სიით გათვალისწინებულ კვოტაზე, ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსი მიენიჭება მეორე სიაში მყოფ აპლიკანტებს, მათი რეიტინგული ქულის გათვალისწინებით.

7. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკონკურსო სიაში მოხვდა თანაბარი საკონკურსო ქულით და მათი შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ჩარიცხულ პროფესიულ მსმენელთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა გაიზრდება იმ ოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

8. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკონკურსო სიაში მოხვდა თანაბარი საკონკურსო ქულით და მათი შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ჩარიცხულ მსმენელთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსი მიენიჭება იმ აპლიკანტს, რომელიც ყველაზე ადრე დარეგისტრირდა ამ პროგრამაზე.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მისაღები ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, მისაღები ადგილების რაოდენობის გაზრდის თაობაზე კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი ატყობინებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე/მდივანი რეესტრის წარმოების სპეციალისტისგან გამოითხოვს ინფორმაციას, აპლიკანტთა დარეგისტრირების დროის შესახებ. რეესტრის წარმოების სპეციალისტი დაუყონებლივ გასცემს შესაბამის ინფორმაციას.

11. აპლიკანტთთათვის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, კოლეჯის დირექტორი, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სიას, მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, შესაბამისი რეზოლუციით გადასცემს კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტს, რომელიც, დადგენილი წესით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, აპლიკანტებს მიანიჭებს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსს.

მუხლი 9. საბუთების წარდგენა

1. შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტი, კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც დაურთავს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლსა და შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს/დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს განათლების შესაბამისი დონის მიღწევას.

2. პირი, რომელიც საბუთებს წარადგენს წარმომადგენლის მეშვეობით, განცხადებას უნდა დაურთოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. პირი კარგავს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, თუ ის დადგენილ ვადაში არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტაციას.

მუხლი 10. მსმენელთა ჩარიცხვა

1. შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტების მიერ წარდგენილ განცხადებებს შეისწავლის იურისტი და დირექტორს წარუდგენს რეკომენდაციას, შესაბამის პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ.

2. საკონკურსო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, არაუგვიანეს, სწავლის დაწყების თარიღამდე 3 დღისა, კოლეჯსა და აპლიკანტს შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით პირი ირიცხება შესაბამის პროგრამაზე და მას ენიჭება მსმენელის სტატუსი.

3. კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ. აღნიშნული ბრძანება გადაეცემა რეესტრის წარმოების სპეციალისტს, რომელიც მსმენელთა მონაცემებს, მისთვის ინფორმაციის გადაცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ, არაუგვიანეს სწავლის დაწყებამდე, ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 11. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ, თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მოადგილე/ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას დარჩენილი თავისუფალი ადგილებისა და ამ ადგილების შევსების შესაძლებლობების შესახებ.
2. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია, შესაბამისი რეზოლუციით, კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს დაავალოს შესაბამის პროგრამაზე რეგისტრირებულ იმ აპლიკანტებთან დაკავშირება, რომლებიც კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტთა სიაში და განსაზღვროს ვადა, საბუთების წარდგენისთვის.
3. კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი უკავშირდება შესაბამის პროგრამაზე რეგისტრირებულ იმ აპლიკანტებს, რომლებიც კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტთა სიაში და გააცნობს ინფორმაციას დარჩენილი თავისუფალი ადგილებისა და საბუთების წარდგენის ვადის შესახებ.
4. კოლეჯი ვალდებულია, ამ კატეგორიის პირებთან სასწავლო ხელშეკრულებები გააფორმოს და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია განათავსოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყების თარიღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესის დანართი №1

აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმები	ძალიან კარგი 3 ქულა	კარგი 2 ქულა	დამაკმაყოფილებელი 1 ქულა	ცუდი 0 ქულა
1	მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)				
2	ხედვა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით				
3	ლოგიკური აზროვნების უნარი				
4	დეტალებზე ორიენტირებულობა				
5	კომუნიკაციის უნარი				

პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის წესის დანართი №1

აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები

№	კრიტერიუმები	ძალიან კარგი 5 ქულა	კარგი 3 ქულა	დამაკმაყოფილებელი 2 ქულა	ცუდი 0 ქულა
1	მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი, მზაობა ისწავლოს პროგრამაზე და ა.შ)				

№	კრიტერიუმები	თავდებადია (პროგრამაზე სწავლა არ შეიცავს საფრთხეს აპლიკანტისთვის)	არ არსი თავსებადი (პროგრამაზე სწავლა საფრთხისშემცველია აპლიკანტისთვის)
		5 ქულა	0 ქულა
2	პროფესიული მომზადების პროგრამასთან/პროფესიული გადამზადების პროგრამასთან თავსებადობა		